<u>დამტკიცებულია იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს</u>
<u>გადაწყვეტილებით (13.05.2024; ოქმი №6)</u>

<u>სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესი</u>

1. სსიპ– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი") იურიდიული ფაკულტეტის (შემდგომში ,,ფაკულტეტი") საუნივერსიტეტო დაფინანსება ითვალისწინებს ფაკულტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტთა დაფინანსებას (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) შერჩევის საფუძველზე, სტუდენტთა საუკეთესო აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.
2. ფაკულტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების ოდენობა, უნივერსიტეტის პოლიტიკიდან გამომდინარე, დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტზე წინა სემესტრში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.
3. ფაკულტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის რექტორის ბრძანებით გამოყოფილი თანხის ოდენობა წინა სემესტრში ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებზე ნაწილდება შემდეგი სახით:

3.1. ბაკალავრიატის საფეხური – საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 20%, რომელიც, თავის მხრივ, ნაწილდება შემდეგი სახით:

ა) სამართლის საბაკალავრო პროგრამა – ბაკალავრიატის საფეხურის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 75%;

ბ) საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამა – ბაკალავრიატის საფეხურის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 20%.

გ) ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა – ბაკალავრიატის საფეხურის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის – 5%;

3.2. მაგისტრატურის საფეხური – საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 80%, რომელიც, თავის მხრივ, ნაწილდება შემდეგი სახით:

ა) სამართლის სამაგისტრო პროგრამა – მაგისტრატურის საფეხურის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 60%;

ბ) საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა – მაგისტრატურის საფეხურის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 15%;

გ) საერთო სამაგისტრო პროგრამა ,,საჯარო მმართველობა" – მაგისტრატურის საფეხურის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 15%.

დ) მიგრაციის მართვა – მაგისტრატურის საფეხურის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 5%.

ე) ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა – მაგისტრატურის საფეხურის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 5%.

3.3. მაგისტრატურის საფეხურზე ამ წესის 3.2. პუნქტში მითითებული პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა ნაწილდება შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებზე შემდეგნაირად: შემოდგომის სემესტრში საუნივერსიტეტო დაფინანსება ეძლევა ყველა სემესტრის სტუდენტს, გაზაფხულის სემესტრში – მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრის სტუდენტებს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტების რეიტინგში შეყვანა ხდება ამ წესის მე-6 პუნქტის შესაბამისად, შემოდგომის სემესტრში პირველი სემესტრის სტუდენტების დასაფინანსებლად შესაბამისი პროგრამისთვის განკუთვნილი თანხებიდან გამოიყოფა 20%, გარდა სამაგისტრო პროგრამისა ,,საჯარო მმართველობა".

3.4. საერთო სამაგისტრო პროგრამის ,,საჯარო მმართველობა“ სტუდენტებისათვის, დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობის 15 % განაწილდეს შემდეგნაირად:

ა) პირველი სემესტრის სტუდენტებისათვის – ,,საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამისათვის გამოყოფილი თანხის 50%;

ბ) ყველა სხვა სემესტრის სტუდენტებისათვის – ,,საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამისათვის გამოყოფილი თანხის 50%;

3.5. ფაკულტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებისათვის განაწილებისას გამოიყენება მთელისაკენ ნაკლებობით დამრგვალების წესი. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებისათვის გამოყოფილი თანხის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის განაწილებისას გამოიყენება მთელისაკენ დამრგვალების მათემატიკური წესი: 0,5 და მეტი – მეტობისკენ, 0,5-ზე ნაკლები – ნაკლებობისკენ.

4. ფაკულტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსება ითვალისწინებს:

ა) უნივერსიტეტში ჩარიცხული ბაკალავრიატის სტუდენტთა სემესტრულ დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე, უნივერსიტეტში წინა სემესტრში მიღებული საუკეთესო აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

ბ) უნივერსიტეტში ჩარიცხული მაგისტრატურის სტუდენტთა სემესტრულ დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე, უნივერსიტეტში წინა სემესტრში მიღებული საუკეთესო აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

5. ფაკულტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტთაგან საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში გავლილი პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. სტუდენტს წინა სემესტრში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 კრედიტისა.

6. მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტთაგან საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა ხდება სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ, კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სპეციალობის გამოცდის საუკეთესო ქულის საფუძველზე.

7. საუნივერსიტეტო დაფინანსება არ გაიცემა:

ა) სტუდენტებზე, რომლებსაც მოპოვებული აქვთ სახელმწიფო/ალტერნატიული დაფინანსების სრული ოდენობა. ნაწილობრივი ოდენობის შემთხვევაში საუნივერსიტეტო დაფინანსება გაიცემა მის პროპორციულად, სწავლის სემესტრული საფასურის სრულად შესავსებად;

ბ) ბაკალავრიატის პირველი სემესტრის სტუდენტებზე;

გ) დამატებითი სემესტრის სტუდენტებზე;

დ) სტუდენტებზე, რომლებსაც სრულად არ აქვთ დაფარული წინა სემესტრის სწავლის საფასური;

ე) სტუდენტებზე, რომლებსაც წინა სემესტრში უნივერსიტეტში არ ქონდათ აქტიური სტუდენტის სტატუსი.

8. საუნივერსიტეტო დაფინანსება ნაწილდება უნივერსიტეტში წინა სემესტრში გავლილი პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშების, ასევე მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტებისათვის – კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად ჩატარებულ სპეციალიზაციის გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული საუკეთესო ქულების საფუძველზე. საერთო სამაგისტრო პროგრამის ,,საჯარო მმართველობა“ პირველი სემესტრის სტუდენტების საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის შერჩევა ხდება პროგრამაზე ჩასარიცხად ჩატარებულ გასაუბრებაზე სტუდენტის მიერ მიღებული საუკეთესო ქულების საფუძველზე. უნივერსიტეტში წინა სემესტრში გავლილი პროგრამით გათვალისწინებულ

საგნებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშების შედეგად ორი ან მეტი ყველაზე დაბალი ქულის მქონე სტუდენტის მიერ იდენტური შედეგის არსებობის შემთხვევაში საუნივერსიტეტო დაფინანსების თანხის ოდენობა თანაბრად იყოფა სტუდენტების შესაბამის რაოდენობაზე.

9. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი პროგრამების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შედეგად დარჩენილი თანხა, რომელიც ვერ ფარავს სწავლის სემესტრული საფასურს სრულად, ეძლევა შესაბამისი საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამის რეიტინგით მომდევნო სტუდენტს.

10. შეიქმნას ფაკულტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში;

ბ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

გ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა);

<u>ფაკულტეტისთვის გამოყოფილი საუნივერსიტეტო დაფინანსების თანხის განაწილების სქემა</u>

ფაკულტეტისთვის გამოყოფილი საუნივერსიტეტო დაფინანსების თანხის ოდენობა


ბაკალავრიატის საფეხური 20%
სამართლის საბაკალავრო პროგრამა 75%
საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამა 20%
ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა 5%
მაგისტრატურის საფეხური 80%
ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა 5%
სამართლის სამაგისტრო პროგრამა 60%
საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა 15%
საერთო სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა" -15%; I სემესტრის სტუდენტებისთვის 50%; ყველა სხვა სემესტრი 50%;
მიგრაციის მართვა 5%
შემოდგომის სემესტრში I სემესტრის სტუდენტებისთვის 20%, ყველა სხვა სემესტრი-80%.